პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

5 მაისი, ხუთშაბათი, 1988 წ. № 87 (9754) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## 5 მაისი ბეჭდვითი სიტყვის დღე

ბეჭდვითი სიტყვის დღესთან დაკავშირებით რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში ჩატარდება მასობრივი სპორტული და გამაჯანსაღებელი ღონისძიებები. გუშინ თბილისის სპორტკომიტეტიდან გვაცნობეს, რომ დედაქალაქის რაიონებში საზეიმო ვითარებაში, მასობრივი სპორტული ღონისძიებებით აღინიშნება ბეჭდვითი სიტყვის დღე. ღონისძიებების ჩატარებას ადგილობრივი რაიონული სპორტკომიტეტები ხელმძღვანელობენ.



## გამოცდები ოლიმპიადის წინ

სადაცაა ოლიმპიური თამაშები კარს მოგვადგება. მიუხედავად ამისა, ჯერჯერობით საბჭოთა ნაკრებ გუნდებში ჩვენს სპორტსმენებს ადგილები საბოლოოდ დაჯავშნილი არა აქვთ. ისინი ისევ და ისევ გამოცდებს აბარებენ — აბარებენ ოფიციალურ თუ არაოფიციალურ. საერთაშორისო შეჯიბრებებში, საკავშირო ასპარეზობებში...

აპრილში გამართულ სხვადასხვა რანგის ტურნირებში საქართველოს წარმომადგენელთა „ოლიმპიურმა აქციებმა“ მეტი წონა შეიძინა.

აპრილის თვის მონაგარზე საუბარი გვინდა დავიწყოთ სწორედ იმ სპორტსმენებით, რომლებმაც პოზიციები უფრო განიმტკიცეს.

**განსაკუთრებით** სასიხარულო ცნობები მოვიდა დიდი ბრიტანეთის ქალაქებიდან ედინბურგიდან და მანჩესტერიდან.

**ედინბურგში** გაიმართა ევროპის თასის გათამაშება წყალში მხტომელთა შორის. ამ შეჯიბრებაში თბილისელმა გიორგი ჩოგოვაძემ, როგორც სჩვევია, სტაბილურად იასპარეზა. იგი წინასწარი ნახტომების შემდეგ მეორე იყო, ფინალში კი იმდენად კარგად გამოვიდა, რომ მეტოქეებს წარმატების ყოველგვარი იმედი გადაუწურა და ევროპის თასიც დაისაკუთრა.

**მანჩესტერში** მოეწყო ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. თბილისელმა ლერი ხაბელოვმა (100 კგ) ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა.

**საბჭოთა** ოლიმპიური ნაკრების წევრობის კანდიდატთაგან კიდევ ერთი სერიოზული განაცხადი გააკეთა თბილისელმა მსროლელმა ნინო სალუქვაძემ. მან ყველას აჯობა ეშერაში გამართულ საკავშირო პირველობაში — როგორც მცირეკალიბრიანი პისტოლეტით, ისე პნევმატური იარაღით.

**ოლიმპიურ** საკავშირო ნაკრე-

ის. გვ. 4 გვ.

## მასობრიობის მეშვეობით— დიდი სპორტისაკენ

— ახლა რესპუბლიკის სპორტსახკომი თავის მუშაობას წარმართავს ხუთი ძირითადი მიმართულებით, — უთხრა ჟურნალისტებს საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ენდელაძემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ ტრადიციულ პრესკონფერენციაზე. — უკვე ჩამოყალიბდა ყველა რგოლის საქმიანობის ზუსტი სისტემა, რომელიც ეფუძნება საქმის ვითარების ობიექტურ ანალიზს, გადაწყვეტილებათა კოლეგიურ გამოტანას. ამ სისტემის ყველა რგოლი ემსახურება სადირექტივო ორგანოების მიერ დასახული ამოცანების შესრულებას, რომელთა მიზანია უმაღლეს მიღწევათა სპორტისა და მასობრივ-გამაჯანსაღებელი ფიზკულტურის განვითარება.

საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზობებზე საქართველოს სპორტსმენებმა შარშან გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს. მსოფლიო ჩემპიონატებსა და მსოფლიო თასების გათამაშებაში მათ მოიპოვეს 4-4 უმაღლესი ჯილდო, ევროპის

ის. გვ. 2 გვ.



ამ სურათზე თქვენ ხედავთ ბათუმში გამართულ აკრობატთა რესპუბლიკურ ჩემპიონატში გამარჯვებულ სამეულს — ნინო პატარიძეს, დებს თამილა და მანა მორბედაძეებს (ჩემპიონატის შესახებ დაწვრილებით გესაუბრებით „ლელოს“ უახლოეს ნომერში).

## პატარების დიდი მიღწევა

### ნორჩ თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა საკავშირო ტურნირი

საქართველოს ნორჩმა თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა რიგაში გამართულ საკავშირო ტურნირზე არნახულ წარმატებას მიაღწიეს. ასპარეზობაში, რომელშიც 1974-75 წლებში დაბადებული 12 გუნდის 365 სპორტსმენი გამოდიოდა, ჩვენმა მოჭიდავეებმა ექვსი პირველი, სამი მეორე, ორი მესამე ადგილი დაიკავეს. ბუნებრივია, ასეთი წარმატების შემდეგ მათ გუნდურ პირველობაშიც არავის დაუთმეს გამარჯვება. განსაკუთრებით ისახელეს თავი „შრომითი რეზერვების“ წარმომადგენლებმა.

ტურნირიდან გამარჯვებულნი დაბრუნდნენ სოფელ გამარჯვებაში მცხოვრები თამაზ კოლოშვილი (32 კგ), რუსთაველი გოჩა გოცაძე (38), თბილისელები დავით ბიჩინაშვილი (41), გიორგი ხაბელაშვილი (47), ლერი მუზაშვილი (54) და იოსებ ლექიაშვილი (58).

მეორე ადგილები წილად ხვდათ თბილისელებს რისტომ მაჭარაშვილს (35), ზურაბ მაკოევს (38) და მირზა სულაშვილს (66).

მესამე პრიზიორები გახდნენ რუსთაველი ირაკლი ბარბაქაძე (35) და თბილისელი დიმიტრი ფერაძე (54). ნორჩი ფალავნების წარმატებაში დიდია მწვრთნელების ტ. ქარბაძის, შ. კოტორაშვილის, ა. მენაბდიშვილის, ვ. ნიკოლაძის, ა. ოთიაშვილის და ნ. ხალიევის წვლილი.

აღსანიშნავია, რომ ამ ტურნირზე ყველაზე სოლიდურად წარმოდგენილი იყო თბილისის 173-ე სკოლა, რომლის ერთი აღსაზრდელი (ბიჩინაშვილი) პირველ ადგილზე გავიდა, ხოლო ორი (მაჭარაშვილი, მაკოევი) მეორე იყო.

ნ. ხოშტარია.

## წყალბურთელებო, სტარტზე!

ისინი ზონალურ პირველობებში გამარჯვებულნი არიან, რესპუბლიკის 14 საუკეთესო კოლექტივი, რომლებიც ამჟამად სოხუმში ასპარეზობენ წყალბურთელთა რესპუბლიკური პირველობის ფინალში. შეჯიბრება, რომლის პროგრამაშია მძლეოსნობა, ცურვა, ტყვიის სროლა, ღერძზე და ორძელზე მიზიდვა, საზეიმოდ გაიხსნება 6 მაისს 12 საათზე და 8 მაისს დამთავრდება. აღსანიშნავია, რომ ღერძზე და ორძელზე მიზიდვა პირველადაა შეტანილი წყალბურთელთა რესპუბლიკური ასპარეზობის პროგრამაში.



## +1 საჩუქრად— საჭიდაო დარბაზი

**29 აპრილს** ხალხმრავლობა იყო ხაშურის რაიონის სოფელ ქვიშხეთის ცენტრში. მიზეზი ის გახლდათ, რომ აქ იხსნებოდა ჩვენი სასიქადულო მოჭიდავის ლევან თედიაშვილის სახელობის ფალავანთა კლუბი, რომელიც დიდი ენთუზიაზმითა და გემოვნებით ააშენეს ქვიშხელებმა. საბჭოთა მეურნეობის დირექტორის სიმონ ბულაძის თაოსნობით დარბაზს აშენებდა მეურნეობის სამშენებლო ბრიგადა ი. ლომსაძის ხელმძღვანელობით, რომელმაც 63 ათასი მანეთის სამუშაოები შეასრულა. ამ ლამაზ შენობას, რომელიც 440 კაცს იტევს, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საჭიდაო სარბიელის ფართობი აქვს.

● **რამ განაპირობა ფალავანთა კლუბის აშენება? — ვკითხეთ ქვიშხეთის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელებს.**

— წარსულში ქვიშხეთში ცნობილი ფალავნები გვყავდა: ძმები შოთა და აკაკი თავართქილაძეები, ზაქრო ქურდაძე და სხვები. ბოლო წლებში ეს კარგი ტრადიცია, სამწუხაროდ, მოიშალა. გვინდა, რომ იგი კვლავ აღდგეს. გვჯერა, ამ კლუბში გაიზრდებიან საუკეთესო მოჭიდავეები, იქნებ — მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონებიც კი.

...დარბაზის გახსნის შემდეგ ჩატარდა კულტურულ-სპორტული ღონისძიება, რომლის პროგრამაში, ცხადია, ქართული ჭიდაობაც შედიოდა. გამარჯვებულებს სამახსოვრო პრიზები ლევან თედიაშვილმა გადასცა.

ახალი საჭიდაო დარბაზი მართლაც შესანიშნავი საჩუქარია სოფლის ახალგაზრდობისათვის. მრავალი სახელოვანი მოჭიდავე დაოსტატებულიყოს მის ხალიჩაზე!

**ნუგზარ ქარელი.**

ავტორის ფოტოები.





ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ფალავანთა კლუბის სუდი გარედან; ლენტი გადაჭრა ლევან თედიაშვილმა; პირველი ორთაბრძოლა ახალ სარბიელზე.

## წოდების მინიჭება

**სსრ კავშირის** ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

**მხატვრულ ტანვარჯიშში** — ვერა ყიფიანს (თბილისი, ასკ), მარიამ ლამბაშიძეს, ხათუნა აფაქიძეს (ორივე — თბილისი, პროფკავშირები).

**მოტოსპორტში** — გალინა ლოგინოვას (თბილისი, დოსააფი).

## მაგნიტური დღეები მაისში

მაისში მაგნიტურ დღეებად გამოცხადებულია 5, 6, 16, 18, 19 და 23 რიცხვები.

ამ დღეებში თავიანთი ჯანმრთელობისადმი განსაკუთრებული ყურადღებით უნდა იყვნენ ისინი, ვისაც აწუხებს ქრონიკული დაავადებები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მასობრიობის მეშვეობით — დიდი სპორტისაკენ

(დასასრული)

ჩემპიონატებში — 10, სსრ კავშირის ჩემპიონატებში — 27 ოქროს მედალი. ამით შეიქმნა მტკიცე მარაგნაკეთი ოლიმპიური წლის წინ. აღსანიშნავია, რომ დღეს საუკეთესოთა შორის არიან ის სპორტსმენები, რომლებმაც სახელი პირველად მოიხვეჭეს სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე 1986 წელს.

რესპუბლიკაში სპორტის დონეს განსაზღვრავს სწორედ უმაღლესი მიღწევები და აქ ყველა შესაძლებლობა როდია გამოყენებული. კვლავაც დიდი ყურადღება დაეთმობა მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენების მომზადებისათვის მაქსიმალური პირობების შექმნას.

როგორც ცნობილია, „დიდი“ სპორტი ემყარება მასობრივ-ფიზკულტურულ მოძრაობას, რომლის გამო რესპუბლიკის სპორტსახკომის მიმართ გამოითქვა მრავალი სამართლიანი საყვედური, ახლა მისი თანამშრომლები ცდილობენ ყველაფერი იღონონ, რათა ფიზიკური კულტურა და სპორტი დამკვიდრდეს მოსახლეობის ცხოვრებაში. მთავარი ამოცანაა დავეხმაროთ ადამიანებს დაძლიონ საკუთარი პასიურობა, ინერტულობა.

ამ ამოცანების შესრულებაში გვეხმარება აქტიური დასვენების ორგანიზაციის ახალი ფორმები — ისეთები, როგორიც არის მინი-ფეხბურთისა და მინი-კალათბურთის. ქართული ჭიდაობის პოპულარული ტურნირები, რომლებსაც ვაწყობთ საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან ერთად. დიდი ინტერესი გამოიწვია რესპუბლიკის პროფკავშირთა ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების წამოწყებამ — პირველმა „სტუდენტთა გიგანტურმა ასპარეზობამ“. მაგრამ სწორედ ამ ასპარეზობამ გამოავლინა მთელი რიგი პრობლემები ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდაში. მაგალითად, ცურვაში დაგეგმილი იყო ყოველ გუნდს გამოეყვანა 400 მონაწილე. მაგრამ მხარეებმა შეკრიბეს მხოლოდ 150-150 კაცი, რომლებსაც შეეძლოთ ცურვა, და მათ უმრავლესობასაც უჭირდა წყალზე გაჩერება.

გამაჯანსაღებელი მუშაობის ცენტრი ახლა გადატანილია საცხოვრებელ ადგილას, უმაღლეს სასწავლებლებში, მუშათა კოლექტივებში. აქ დიდი დახმარება შეიძლება გაგვიწიონ კოოპერაციულმა სპორტულმა კლუბებმა, რომელთა რიცხვი დღითიდღე იზრდება. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ საქართველოს დედაქალაქში 32 აუზიდან პრაქტიკულად არც ერთი არ მუშაობდა. ახლა მარტო 26 კომისრის სახელობის რაიონში ენთუზიასტ-კოოპერატორთა წყალობით რამდენიმე სკოლის აუზები იღებენ მოსწავლეებსა და ახლომდებარე მიკრორაიონების მცხოვრებლებს.

საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ უკანასკნელ ხანს რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოების მუდმივი ზრუნვის შედეგად საქართველოში მნიშვნელოვნად გაფართოვდა სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. აშენდა მრავალი ნაგებობა, რომლებიც აკმაყოფილებენ ყველაზე თანამედროვე მოთხოვნებს. მაგრამ აბსოლუტური ციფრებით რესპუბლიკა ჯერ კიდევ ჩამორჩება საკავშირო ნორმებს. ამასთან მთლიანად როდი იყენებენ არსებულ ბაზას. საქმის ვითარების გამოსასწორებლად საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, გაფართოვდეს ფასიანი მომსახურების მასშტაბი.

ჟურნალისტებთან საუბრის დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ბავშვთა და ჭაბუკთა სპორტს, სადაც ასევე არის დადებითი ძვრები. ამას მოწმობს საქართველოს ნორჩი სპორტსმენების წარმატებული გამოსვლა სპორტსკოლების მოსწავლეთა პირველ საკავშირო ასპარეზობაზე. მთლიანად კი სპორტსახკომმა განათლების სამინისტროსთან ერთად ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა იღონოს, რათა სასკოლო სპორტი აქციოს „დიდი“ სპორტისათვის სრულფასოვანი რეზერვის მომზადების მტკიცე ბაზად.

— დაუნდობელი ბრძოლა გამოვუცხადოთ იმათ, ვისაც სპორტი გამდიდრების საშუალებად მიაჩნია, — თქვა ნ. ენდელაძემ. — იმ მწვრთნელებისა და სპორტსმენების მიმართ, რომლებიც არღვევენ ეთიკურ ნორმებს, შემჩნეული არიან სიყალბეში, იჩენენ უზნეობას, ვიღებთ და კვლავაც მივიღებთ ყველაზე მკაცრ ზომებს. სპორტმა კუნთების გარდა უნდა განავითაროს მოქალაქეობრიობა, მაღალი მორალურ-პოლიტიკური თვისებები.

პასუხი გასცა რა ჟურნალისტებს საქმის ვითარებაზე სპორტის სხვადასხვა სახეობაში, საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ახლა პასუხსაგები მომენტი დადგა ფიზკულტურულ მოძრაობაში. არცთუ დიდი დრო დარჩა 1988 წლის ოლიმპიური ასპარეზობის დაწყებამდე, და ახლა მთელი ყურადღება ეთმობა ქვეყნის ოლიმპიური ნაკრები გუნდებისათვის ღირსეული კანდიდატების მომზადებას.

(საქინფორმი).

# ეს ჩვენი ბავშვები არიან

**რედაქციამ უამრავი ბარათი მიიღო ჩვენი კორესპონდენტის პეპი ბოჭორიშვილის წერილზე „ბავშვის თბილი ხელი“, რომელიც „სოვეტსკი სპორტში“ (1987 წლის 16 ოქტომბერი) და შემდეგ „ლელოს“ ფურცლებზე დაიბეჭდა. შეგახსენებთ, პუბლიკაციაში ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ საქართველოს სპორტულმა ორგანიზაციებმა შეფობა აიღეს თბილისის საბავშვო სახლების აღსაზრდელებზე. დღეს ჩვენ კვლავ ვუბრუნდებით ამ თემას.**

„გამარჯობათ! წავიკითხე მასალა წყნეთის ბავშვთა სახლზე და გადავწყვიტე თქვენთვის მომემართა. გასულ შემოდგომაზე დავკარგე ჩემი ერთადერთი შვილი არკადი. ძალიან მეცოდება ობოლი ბავშვები. ჩემი ბიჭუნაც ძალიან მეცოდება. როგორ მიმძიმს მისი დაკარგვა. როგორი სიმწრით გავაჩინე, მე ხომ მეორე ჯგუფის ინვალიდი ვარ, მარჯვენა ფეხი არა მაქვს. მაგრამ ცოტა ხანს მაინც ვიყავი ბედნიერი, იმიტომ, რომ დედობა მეღირსა...“

ახლა წყნეთის ბავშვთა სახლის დირექტორის კაბინეტში ვზივარ და კიდევ ერთხელ — უკვე მერამდენედ — ვკითხულობ ამ წერილს.

„გემუდარებით, დამეხმარეთ დავიბრუნო დედის სახელი! მოელაპარაკეთ კოლეგებს, განიხილეთ ჩემი საქმე. როგორ ვიცხოვრო უბავშვოდ, როგორ გავძლო? რა იქნება, რომ წყნეთის სახლიდან ბავშვის აყვანის ნება დამრთონ? მე გავზრდი. ერთს ან ორსაც კი. ჩემი ბიჭუნა ლამაზი იყო, შავთვალა, მე მას „შჩელკუნჩიკი“ შევარქვი. გრძელი წამწამები და მამამისივით შავი, ხვეული თმა ჰქონდა. ცოცხალი რომ ყოფილიყო, ახლა წლისა და ხუთი თვის იქნებოდა, უკვე ფეხიც ადგმული ექნებოდა“.

არაფერს ამბობს დირექტორი მზია ქიწმარიშვილი. მეც ვდუმვარ. მძიმე სიჩუმე უძლური ბრაზივით შემოგვაწვა გულზე. წყნეთის ბავშვთა სახლში ობოლი არავინ არის, ყველას ჰყავს დედა, მამა. 83-დან არც ერთის გაშვილება არ შეიძლება. შეიძლება ახლა გრძნობებს აყოლილს არაჰუმანურადაც მეჩვენებოდეს ეს ამბავი. იმიტომ, რომ ამ ბავშვებს მშობლები მაინც არა ჰყავთ.

ქალბატონი მზია მიყვება ბავშვებსა და მათ „მშობლებზე“. იშვიათად აკითხავენ, 6-8 თვეში ერთხელ, ზოგჯერ მთვრალებიც არიან ხოლმე. ერთხელ გავატანეთ დედას ბავშვი, იმედი გვქონდა, რომ მასში დედობრივი გრძნობა გაიღვიძებდა, ბავშვი კი მეორე დღეს შუბლგატეხილი დაგვიბრუნდა. დედამ და იმ ძიამ იჩხუბეს და მე დედას ვიცავდიო. საახალწლოდ ყველა ბავშვმა ერთი და იგივე სურვილი ჩაითქვა — დედისა და მამის ნახვის სურვილი. არც ერთი არ მოსულა...

„როგორ ავუხსნა ეს ყველაფერი ბავშვებს? — მეკითხება ქალბატონი მზია. — ოჯახები ინგრევა, ბევრის ბედი უკუღმა ტრიალდება უშვილობის გამო, მე კი აქა მყავს ეს პატარები და არსად არ ვუშვებ. აქ მათთვის ყველაფერია — პირობებიც კარგია და კვებაც. მაგრამ, როცა შინ მივდივარ, ბავშვები ისეთი თვალებით მაცილებენ, რომ...“

მეც მიჭირს თვალებში შევხედო მათ. სულ პატარები არიან, სამიდან ექვს წლამდე, თვალები კი ყველას დიდისა აქვს. აქ მე მეგობარიც მყავს, რუსტამი, ბოშა ბიჭუნა. დედამისი ციხეშია. ერთი წლის მერე დაუმთავრდება პატიმრობის ვადა და წაიყვანს შვილს. რუსტამს ბალიშის ქვეშ უდევს დედის წერილი, რომელშიც იგი თვითონ სწერს მას ამის შესახებ.

სწორედ რუსტამის გამო დაიწყო ყველაფერი. მე იგი თბილისის გ. ეგნატაშვილის სახელობის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული ტანვარჯიშის დარბაზში დავინახე. ვარჯიში უკვე დამთავრებულიყო, ბიჭუნა კი არ აპირებდა წასვლას. მივუახლოვდი და ერთმანეთიც გავიცანით. გამოირკვა, რომ ქალაქის სპორტული ორგანიზაციები თბილისის ორ ბავშვთა სახლს უწევენ შეფობას — წყნეთისას და დიღმისას. შეფები ავლენენ სათანადო მონაცემების ბავშვებს. საბავშვო სახლში იზრდებიან მომავალი ტანმოვარჯიშეები, მოცურავეები, მძლეოსნები, ფეხბურთელები. კვირაში სამჯერ მიკროავტობუსებს სახელმწიფო ავტოინსპექციის თანხლებით ვარჯიშზე დაჰყავს ბავშვები.

შეფები სტუმრადაც დადიან პატარებთან და თავისთანაც ხშირად იწვევენ მათ. ყველაზე მეტად ბავშვებს საფეხბურთო განხრის სახელგანთქმული 35-ე საშუალო სკოლა მოეწონათ. იქ წყნეთელმა სტუმრებმა თვითმოქმედების კონცერტიც გამართეს და ფეხბურთიც ითამაშეს მომავალ პაიჭაძეებთან, მესხებთან, ყიფიანებთან და ჩივაძეებთან. დასასრულს კი საჩუქრებიც მიიღეს. გაზაფხულზე ბავშვები თავისთან, წყნეთში ელიან შეფებს და საგულდაგულოდაც ემზადებიან მათ დასახვედრად.

სულ მალე კი საბავშვო სახლის მეზობელ ეზოში დაიწყება საკუთარი სპორტდარბაზის მშენებლობა. პატარებს თავიანთი აუზიც ექნებათ. მწვრთნელები აქ ჩამოვლენ ხოლმე და ავარჯიშებენ ბავშვებს, ეს ამბავი უკვე შეთანხმებულია. ქალბატონი მზია ღიმილით მიყვება ყველაფერ ამას. არ უნდა გამომიტყდეს, რომ ბავშვების დაბრუნებამდე ადგილს ვერ პოულობს. ფანჯარასთან დგას, ღელავს, ელოდება. როგორც დედა...





**პეპი ბოჭორიშვილი.**

## ლახტის წრეში

# მადლობის მაგიერი?

### ასეც ხდება...

**აი, რას გვწერენ გლდანის დასახლების IV მიკრორაიონის 92 ბ კორპუსის 11 სადარბაზოს მობინადრენი: „კორპუსის წინ გვქონდა სპორტული მოედანი, სადაც ბავშვები თამაშობდნენ თავისუფალ დროს და იკაჟებდნენ ჯანმრთელობას, მართავდნენ სპორტულ შეჯიბრებებს, მაგრამ ყოველივე ხანმოკლე აღმოჩნდა.**

**1988 წელს მოედნის ახლოს მაღლივმშენის № 3 სახლმშენებელმა კომბინატმა დაიწყო სამი 16-სართულიანი კორპუსის მშენებლობა. მშენებლებმა აღნიშნული სპორტული მოედანი გამოიყენეს მასალების დასაწყობად. სამუშაოები დამთავრდა, მაგრამ სპორტული მოედნიდან სამშენებლო ნარჩენების გატანაზე და ასფალტის საფარის აღდგენაზე არავის უფიქრია. ბინებში უკვე შესახლდნენ მობინადრენი, მაგრამ... ოთხი კორპუსის — 92 ბ, 102, 103, 104 ბავშვები მოედნის გარეშე დარჩნენ.**

**1987 წლის ივნისში ბავშვებმა თხოვნით მიმართეს გლდანის რაისაბჭოს აღმასკომს სპორტული მოედნის აღდგენის შესახებ. აღმასკომმა 1987 წლის 2 ივლისს წერილობით გვაცნობა, რომ მოედნის აღდგენა აღმასკომის 1987 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილებით დავალებული აქვს მაღლივმშენის № 3 სამშენებლო კომბინატს.**

**აღნიშნული გადაწყვეტილება დღემდე შეუსრულებელია“.**

**რედაქციისაგან.** დასახელებულ ადგილს ვეწვიეთ. ფაქტი, როგორც იტყვიან, დადასტურდა. გაგვაოცა მაღლივმშენის № 3 სამშენებლო კომბინატის გულგრილობამ. მათ ხომ ხუთი წლის განმავლობაში მობინადრეებს ვარჯიშის საშუალება მოუსპეს — მოედანი სამშენებლო მასალების დასაწყობად გამოიყენეს, კორპუსების ჩაბარების შემდეგ კი გულგრილად, ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე მიატოვეს მოედანი.

ცოტა არ იყოს გაკვირვებას იწვევს გლდანის რაისაბჭოს აღმასკომის პასიურობაც — ნუთუ აქამდე არ შეიძლებოდა ამ საკითხის უმტკივნეულოდ მოგვარება!



აი, ასეთი ბეტონის „მოედანი“ დატოვეს მშენებლებმა ბავშვებს.

## ენთუზიასტები

# ჩამოაყალიბეს სპორტული კლუბი

**ხალხით** გაჭედილი დარბაზი... მიდი, მარცხენა მიდი!.. რინგზე ერთმანეთს ენაცვლება წყვილები...

— აფსუს! — ასე ჩხუბობდნენ დარბაისელები? — ჩამესმის უცნობის სიტყვები.

საბჭოთა კავშირის ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელს, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს, სხვა მრავალ საპასუხისმგებლო ასპარეზობის გამარჯვებულს — ნოდარ დარბაისელს ახლაც რინგის დიდი სიყვარული შემორჩენია. ნოდარი სპორტული კარიერის დამთავრების შემდეგ კრივიდან არ წასულა, რინგი არ დაუტოვებია. იგი წლების განმავლობაში სათავეში ედგა ზუგდიდის მოკრივეთა ნაკრებს, საზოგადოებრივ საწყისებზე დიდხანს მუშაობდა მწვრთნელად რუსთავში და საკმაო წარმატებები ჰქონდათ მის აღზრდილ ახალგაზრდა მოკრივეებს.

თბილისში, ლენინის რაიონში მუშაობს „ნოდარ დარბაისელის სახელობის ბავშვთა სპორტული კლუბი“, რომელსაც სათავეში თავად ნოდარი უდგას. აქ მოზარდები ეუფლებიან კრივის ტექნიკას, გარდა ამისა კლუბში გახსნილია ჯანმრთელობის, ჭიდაობის და აერობიკის ჯგუფები. ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები.

თემქის დასახლების მესამე მიკრორაიონში ნოდარის თაოსნობით და ხელშეწყობით დაარსდა ქართული ჭიდაობის კლუბი, რომელსაც უნარიანად უძღვება ომისა და შრომის ვეტერანი, სახელოვანი ფალავანი — სპორტის ოსტატი კულა იანვარაშვილი. აქვე ყოველ კვირას ტარდება მხიარული სტარტები, რომელშიც მონაწილეობენ 148-ე საშუალო სკოლის IV-V კლასის მოსწავლეები.

ნოდარ დარბაისელს ყოველ ახალ წამოწყებაში მხარში უდგას ლენინის რაიონის ხელმძღვანელობა, მიკროსაბჭო (თავმჯდომარე პ. სუხიაშვილი), რაიონის სპორტკომიტეტი...

ვეტერანი სპორტსმენი სიყვარულითა და ერთგულებით გადასცემს თავის ცოდნას და გამოცდილებას ახალგაზრდობას...

**ვაჟა დოლბაია,**
**პოეტი, სსრკ მწერალთა კავშირის წევრი.**

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში
### უმაღლესი ლიგა

გუშინ გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი, IX ტურის მატჩები.

თბილისის დინამოელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“.

თამაში დამთავრდა დნეპროპეტროვსკელთა სასარგებლოდ — 1:0.

თბილისის „დინამო“ შემდგომ კალენდარულ მატჩს 8 მაისს გამართავს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასზე (მეორე ტური). დინამოელები ერევანში შეხვდებიან „არარატს“.

IX ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები:

**„დინამო“ მნ. — „მეტალისტი“ 1:1**

**„ჟალგირისი“ — „დინამო“ კ. 0:0**

**„ლოკომოტივი“ — „კაირატი“ 3:0**

**„ზენიტი“ — „ტორპედო“ 2:0**

**„არარატი“ — „შახტიორი“ 1:0**

**„ნეფთჩი“ — „სპარტაკი“ 1:2**

# სტატისტიკოსის ბლოკნოტში

გთავაზობთ სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის VIII ტურის შეხვედრათა სტატისტიკურ მონაცემებს.

**„ლოკომოტივი“ — „ტორპედო“ 1:1 (1:0).** გოლები: გორლუკოვიჩი („ლოკომოტივი“), გრეჩნევი („ტორპედო“).

დუბლიორები — 2:0.

**„ნეფთჩი“ — „ჩერნომორეცი“ 2:0 (1:0).** ორივე ბურთი გაიტანა პონომარიოვმა (ერთი — პენალტით).

გააფრთხილეს ოდესელი ნაკონეჩნი.

დუბლიორები — 0:2.

**„ზენიტი“ — „კაირატი“ 2:1 (1:0).** ლენინგრადელთაგან ორივე ბურთი გაიტანა აფანასიევმა, საპასუხო — ალმაათელმა ფეხლევანიდიმ. როცა „ზენიტი“ ამ ანგარიშით იყო წინ, „კაირატის“ ფეხბურთელმა იაროვენკომ ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი.

გააფრთხილეს ზენიტელი დმიტრიევი და ალმაათელები იაროვენკო და ლედოვსკიხი.

დუბლიორები — 1:0.

**„არარატი“ — „დნეპრი“ 0:0.** გააფრთხილეს ჩერედნიკი („დნეპრი“), ა. ხაჩატრიანი და მარქარიანი („არარატი“).

დუბლიორები — 0:1.

**„ჟალგირისი“ — „მეტალისტი“ 2:1 (2:0).** გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს ნარბეკოვასმა და კვილიუნასმა, ხოლო „მეტალისტიდან“ — ტარასოვმა.

გააფრთხილეს ხარკოველი ვაშჩენკო და ვილნიუსელი იანონისი.

დუბლიორები — 0:1.

● **ამ ტურში** თბილისის „დინამოს“ თავდამსხმელმა რ. შენგელიამ გაიტანა თავისი 120-ე ბურთი საკავშირო ჩემპიონატებში.

● **საუკეთესო** ბომბარდირთა შორის კვლავ წინაა თბილისის დინამოელი გ. გურული, რომელმაც 8 ბურთი გაიტანა. 6 გოლია ლენინგრადელ ს. დმიტრიევის ანგარიშზე.

● **დნეპროპეტროვსკის** „დნეპრის“ ფეხბურთელმა ა. ჩერედნიკმა მიმდინარე სეზონში მესამე ყვითელი ბარათი დაიმსახურა.

● **სულ** ჩემპიონატის დაწყებიდან IX ტურამდე გატანილია 128 ბურთი (81 მასპინძლების, ხოლო 47 სტუმრების მხრივ), საშუალო შედეგიანობა ყოველ მატჩში 2:10 გოლს უდრის.

## ფეხბურთი

### II ლიგა

გაიმართა II ლიგის III ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების II ტურის მატჩები (როგორც იცით, ამ ზონაში ჩვენი რესპუბლიკის გუნდებიც გამოდიან). გთავაზობთ შედეგებს: „ვოლგარი“ (ასტრახანი) — „ურალანი“ (ელისტა) 1:1, „მაშუკი“ (პიატიგორსკი) — „ნარტი“ (ჩერკესკი) 0:0, „სპარტაკი“ (ნალჩიკი) — „დრუჟბა“ (მაიკოპი) 1:0, „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) — „ლუჩი“ (აზოვი) 3:1, „სპარტაკი“ (ანაპა) — „ტორპედო“ (ტაგანროგი) 2:1, „დინამო“ (სოხუმი) — „ოლიმპია“ (ლენინაკანი) 2:0, „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „ლორი“ (კიროვაკანი) 3:0, „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 3:1, „ისკრა“ (ერევანი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 0:0.

6 მაისს გაიმართება მესამე ტურის შეხვედრები.

# წინ ნახევარფინალებია

შედგა „სიჭაბუკის თასის“ რესპუბლიკური გათამაშების მერვედფინალური მატჩები (როგორც გაუწყეთ, გუნდები მიმოსვლის სისტემით თამაშობენ). გაგაცნობთ მორიგ შეხვედრათა შედეგებს. „მეტალურგი“ (რუსთავი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 3:3 (3:3). დამატებითი პენალტებით გაიმარჯვეს რუსთაველმა ფეხბურთელებმა. „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (ბათუმი) 2:0 (2:1), „შევარდენი“ (თბილისი) — „ავაზა“ (თბილისი) 2:1 (1:0), „დინამო“ (სოხუმი) — 35-ე სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) 2:0 (0:0).

ფრჩხილებში მოყვანილია პირველ შეხვედრათა ანგარიშები.

ნახევარფინალური მატჩები (ორ წრედ) 8 მაისს დაიწყება, მეტოქეები ასე დაწყვილდნენ: 35-ე საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „შევარდენი“ (თბილისი), „დინამო“ (თბილისი) — „მეტალურგი“ (რუსთავი).

# 6 ტურის შემდეგ

**ბრძოლდება** ოლიმპიური რეზერვებისა და I ლიგის ფეხბურთელთა გუნდებთან არსებული სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლების საკავშირო პირველობის VI ჯგუფის თამაშები. 29 აპრილსა და 1 მაისს გაიმართა V და VI ტურების შეხვედრები. გთავაზობთ შედეგებს: „დინამო“ (ბათუმი) — 35-ე სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) 4:3, „ტორპედო“ (ქუთაისი) — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) 1:0, „გურია“ (ლანჩხუთი) — „დინამო“ (თბილისი) 1:2, 35-ე სკოლა (თბილისი) — „დინამო“ (თბილისი) 2:1, „გურია“ (ლანჩხუთი) — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა 0:1, „ტორპედო“ (ქუთაისი) — „დინამო“ (ბათუმი) 2:0. ექვსი ტურის შემდეგ გათამაშების ცხრილი ასე გამოიყურება:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 35-ე სკოლა | 6 | 4 | 0 | 2 | 20-12 | 8 |
| „დინამო“ (თბ.) | 6 | 3 | 1 | 2 | 13-8 | 7 |
| ახ. საფ. სკ. (თბ.) | 6 | 3 | 1 | 2 | 7-6 | 7 |
| „დინამო“ ბ. | 6 | 2 | 3 | 1 | 10-10 | 7 |
| „ტორპედო“ | 6 | 3 | 0 | 3 | 6-11 | 6 |
| „გურია“ | 6 | 0 | 1 | 5 | 5-15 | 1 |



**რა** არის საჭირო იმისთვის, რომ საბჭოთა ფეხბურთელმა უცხოეთში თამაშის უფლება მიიღოს? პირველ რიგში, ცხადია, მისი მიწვევის სურვილი რომელიმე კლუბმა უნდა განაცხადოს. თუ ასეთი წინადადება არის, მაშინ საჭიროა თავად მოთამაშის თანხმობა, თანხმობა კლუბისა, რომლის ღირსებასაც ის იცავს, თანხმობა იმ ორგანიზაციისა, რომელიც კურირებას უწევს მოცემულ კლუბს და ბოლოს ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის გადაწყვეტილება.

რომელ ფეხბურთელს შეუძლია საზღვარგარეთ თამაში (თუ მას, რა თქმა უნდა, [illegible])? პირველ ყოვლისა იმას, ვინც დაამთავრა [illegible] ხალისებას იმსახურებს. შემდეგ იმ ფეხბურთელს, რომელიც წამყვან როლს ასრულებს თავის კლუბში და ბოლოს იმას, ვინც დაამთავრა აქტიური გამოსვლა ჩვენში და გარკვეული სარგებლობის მოტანა შეუძლია საზღვარგარეთ.

ჰოკეისტებმა ეს ყამირი გაცილებით ადრე გატეხეს. ავსტრიაში უკვე თამაშობენ, მაგალითად, შალიმოვი და კაპუსტინი, იაპონიაში — გიმაევი და ბალდერისი. გფრ-ში — ისლამოვი და გოლუბნიჩი, შვეციაში — ლავრენტიევი, იუგოსლავიაში — ლადიგინი, ფინეთში — კანარეიკინი. ფეხბურთელები ახლა იწყებენ ამ ახალი კანონის ათვისებას. ბევრმა მოთამაშემ უკვე მიიღო მოწვევა, რამოდენიმე კი თამაშობს კიდეც უცხოეთის კლუბებში. შავლო, მაგალითად, ავსტრიის „რაპიდის“ ღირსებას შარშანდლიდან იცავს. ბლოხინმა არც ისე დიდი ხნის წინ ჩაატარა პირველი მატჩი ავსტრიის კლუბის „ფორვერტსის“ შემადგენლობაში.

**სურათზე: ბლოხინის დებიუტი „ფორვერტსში“.**

## საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი კალათბურთში

# ლიდერთა დავა

გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

**პირველი ჯგუფი.** ლიდერების — თბილისის უნივერსიტეტისა და ქუთაისის კალათბურთელთა მატჩი ორი დღით ადრე ჩატარდა. პირველი შეხვედრის ბედი, ფაქტიურად, შესვენებამდე გადაწყდა. თბილისელებმა ტაიმი 10 ქულით მოიგეს (52:42). უნივერსიტეტელთა უპირატესობა საგრძნობი იყო მეორე ტაიმშიც და მატჩი სტუდენტთა გამარჯვებით დამთავრდა — 115:92.

მეორე შეხვედრაში ქუთაისის გუნდი რევანშისათვის განეწყო და პირველი ტაიმის მიხედვით თითქოს ახლოს იყო კიდეც მიზანთან. ყოველ შემთხვევაში 20 წუთის მანძილზე უპირატესობას სტუმრები ფლობდნენ — 63:54. შესვენების შემდეგ სურათი მკვეთრად შეიცვალა. ინიციატივას თბილისელები მტკიცედ დაეუფლნენ. განსაკუთრებით ეფექტურად ჩაატარეს მათ 25-27-ე წუთები და 12 ქულა აიღეს. ეს იყო ამ მატჩში გადამწყვეტი მომენტი. ამის შემდეგ თბილისელებს ხელიდან არ გაუშვიათ ინიციატივა და წარმატებასაც მიაღწიეს — 115:102.

ამ გამარჯვების შემდეგ თბილისის უნივერსიტეტის კალათბურთელთა კოლექტივი თავის ჯგუფში 31 ქულით ერთპიროვნული ლიდერი გახდა.

თბილისის „დინამოს“ ახალგაზრდულმა კოლექტივმა 29 აპრილს პირველი გამარჯვება იზეიმა — შინ ბათუმის გუნდი დაამარცხა ერთობ მძაფრ და შეუპოვარ ბრძოლაში — 82:80 (45:47). ბათუმელთა შორის ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელი დიხამინძე იყო, რომელმაც თავის კოლექტივს 31 ქულა შესძინა. აი, დინამოელთა გამარჯვება კი მნიშვნელოვანწილად გუნდის ლიდერის — კოკოლიშვილის ეფექტურმა თამაშმა განაპირობა — 32 ქულა.

ერთი შეხვედრა, ფიზკულტურის ინსტიტუტსა და გორს შორის გადაიდო, ვინაიდან სტუდენტი კალათბურთელები თბილისში არ არიან.

**გათამაშების ცხრილი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| უნივ. (თბ.) | 16 | 15 | 1 | 31 |
| ქუთაისი | 16 | 13 | 3 | 29 |
| ბათუმი | 16 | 5 | 11 | 21 |
| ფიზკ. ინსტ. (თბ.) | 12 | 8 | 4 | 20 |
| გორი | 14 | 2 | 12 | 16 |
| „დინ.“ (თბ.) | 14 | 1 | 13 | 15 |

**მეორე ჯგუფი.** „მართვეს“ სხვებზე მეტი გამოტოვებული მატჩები აქვს, ამიტომ შეხვედრებს მჭიდრო გრაფიკით ატარებს. გასულ კვირას მან, მაგალითად, ზედიზედ ოთხი შეხვედრა ჩაატარა, ორი — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივთან (პირველი წრის შეხვედრები) და ორიც რუსთავის გუნდთან (კალენდრით გათვალისწინებული მატჩები).

პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელებთან „მართვე“ დამარცხდა 93:109 (45:50) და 72:74 (45:27). როგორც ხედავთ მეორე მატჩი ნორჩმა კალათბურთელებმა უკეთ ჩაატარეს, ყოველ შემთხვევაში შესვენებამდე მათი უპირატესობა საგრძნობი იყო. შეხვედრის ბედი ფაქტიურად ბოლო წუთებზე გადაწყდა. პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელებმა ჯერ გაათანაბრეს ანგარიში (70:70), მერე დაწინაურდნენ კიდეც — 74:70. ბოლო შედეგიანი სროლა ამ მატჩში „მართვეს“ წარმომადგენელმა საკანდელიძემ შეასრულა, მაგრამ მან მხოლოდ შეამცირა სხვაობა ანგარიშში. სტუდენტებმა, როგორც აღვნიშნეთ, გაიმარჯვეს — 74:72.

სამაგიეროდ, მომდევნო ორ მატჩში „მართვემ“ ქულათა მაქსიმუმი აიღო. რუსთავის გუნდი ორივეჯერ დაამარცხა 74:72 (46:46) და 92:73 (51:28).



**გათამაშების ცხრილი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სპი (თბილისი) | 16 | 13 | 3 | 29 |
| „სინათლე“ (თბ.) | 14 | 13 | 1 | 27 |
| სოხუმი | 14 | 10 | 4 | 24 |
| „მართვე“ (თბ.) | 14 | 5 | 9 | 19 |
| რუსთავი | 14 | 3 | 11 | 17 |
| თელავი | 16 | 0 | 16 | 10 |

**შენიშვნა:** ცხრილში შეტანილი არ არის სოხუმისა და „სინათლის“ შეხვედრათა შედეგები. იმის გამო, რომ თელავის კალათბურთელთა კოლექტივი მოხსნილია გათამაშებიდან, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდს ორი გამარჯვება მიესაჯა.

# ჭაბუკთა ტურნირზე

გაიმართა ჭაბუკ კალათბურთელთა რესპუბლიკური ტურნირის მორიგი მატჩები.

**პირველი ჯგუფი.** „დინამო“ (თბილისი) — ბათუმი 86:68 (43:30) და 83:71 (42:39), უნივერსიტეტი (თბილისი) — ქუთაისი 89:95 (29:37, 65:65) და 47:68 (28:35).

**გათამაშების ცხრილი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| „დინ.“ (თბ.) | 13 | 13 | 0 | 26 |
| ქუთაისი | 14 | 10 | 4 | 24 |
| ბათუმი | 14 | 7 | 7 | 21 |
| უნივ. (თბ.) | 14 | 4 | 10 | 18 |
| გორი | 11 | 5 | 6 | 16 |
| ფიზკ. ინსტ. (თბ.) | 12 | 0 | 12 | 12 |

**შენიშვნა:** ცხრილში არ არის შეტანილი ფიზკულტურის ინსტიტუტისა და გორის გუნდების შეხვედრის შედეგი.

**მეორე ჯგუფი.** „მართვე“ (თბ.) — რუსთავი 89:62 (47:25) და 78:41 (29:29).

**გათამაშების ცხრილი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| „მართვე“ (თბ.) | 10 | 9 | 1 | 19 |
| რუსთავი | 12 | 6 | 6 | 18 |
| სპი (თბ.) | 8 | 7 | 1 | 15 |
| „სინათლე“ (თბ.) | 10 | 2 | 8 | 12 |
| თელავი | 10 | 2 | 8 | 12 |
| სოხუმი | 6 | 2 | 4 | 8 |

**შენიშვნა:** ცხრილში არ არის შეტანილი „მართვე“—სპი-ს, სპი—თელავის, აგრეთვე, სოხუმისა და „სინათლის“ შეხვედრათა შედეგები.

## თვის მონაგარი

# გამოცდები ოლიმპიადის წინ

(დასასრული)

ამ პოზიცია განიმტკიცა თბილისელმა ნიჩბოსანმა კახა ლომიძვილმა. მან გალის წყალსაცავზე გამართულ საკავშირო თასის გათამაშებაში თავის მეწყვილესთან, ბელორუსიელ ალექსანდრე მიზგინთან ერთად ყველას აჯობა 1000 მეტრზე ბაიდარებით შეჯიბრებაში.

სტაბილურად კარგ შედეგებს აღწევს თბილისელი მოკრივე ალბერტ კაზანჯიანი (54 კგ). მან თავისი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ოლიმპიური პრეტენზიები აპრილში კიდევ ერთხელ დაამტკიცა, როცა საფრანგეთის ქალაქ სენ-ნაზარიში გამართულ საერთაშორისო ტურნირში ყველა მეტოქე დაამარცხა.

ველოსიპედისტთა საკავშირო ჩემპიონატში, რომელიც ლენინგრადში ჩატარდა, თბილისელმა ოთარ მჭედლიშვილმა ომნიუმში ოქროს მედალი მოიპოვა. მან ოთხი სახეობიდან სამში პირველი ადგილები დაიკავა და საბოლოო ანგარიშით გამარჯვებაც დაისაკუთრა. ამასთან, ქართველმა სპორტსმენმა საკავშირო რეკორდი დაამყარა 500-მეტრიან დისტანციაზე.

საგზატკეცილო ველორბოლაში საკავშირო პირველობა ფერგანაში გაიმართა. 140 კილომეტრზე ჯგუფურ რბოლაში რუსთაველმა გარი კებბამ მეორე ადგილი დაიკავა.

კრიტერიუმში (რბოლა 60 კილომეტრზე) ასევე მეორე ადგილი ხვდა თბილისელ ვასილ დავიდენკოს.

ბევრმა ტიტულიანმა ბატუტისტმა მოიყარა თავი გ. დობროვოლსკის სახელობის მიძღვნილ საკავშირო შეჯიბრებაზე, რომელსაც თბილისმა უმასპინძლა. აქ ყველას აჯობა ასპარეზობის დებიუტანტმა ანა დოლონაძემ, რომელმაც ბევრი აღიარებული ბატუტზე მხტომელი ჩამოიტოვა. ამასთან, დოლონაძემ თანაგუნდელ ლია ბენდიანაშვილთან ერთად სინქრონულ ხტომებში მეორე ადგილი დაიკავა.

თავი გამოიჩინეს ჩვენმა მოფარიკავეებმაც, რომლებიც რუმინეთში სოციალისტური ქვეყნების ახალგაზრდა სპორტსმენთა ტრადიციული შეჯიბრების („მეგობრობა") პროგრამით გამოდიოდნენ. თბილისელმა არჩილ ლორთქიფანიძემ ხმლით გუნდურ შეჯიბრებაში მეორე ადგილი დაიკავა. რაპირისტთა ასპარეზობაში მესამე ადგილზე გავიდა სსრ კავშირის ნაკრები, რომლის შემადგენლობაში თბილისელი ოლეგ ჩერნიშოვიც იყო.

სინგაპურის ღია ჩემპიონატში თბილისელმა ჩოგბურთელმა ლეილა მესხმა ერთეულთა თანრიგში მეორე ადგილი დაიკავა. მესხი მეორე იყო წყვილთა თანრიგშიც.

სპორტის ზამთრის სახეობათა წარმომადგენლებმა სეზონი აპრილში ალმა-ათაში გამართული მოციგურავეთა საკავშირო ჩემპიონატით დაამთავრეს. თბილისელმა ინგა გილაურმა მრავალჭიდის ჯამში ვერცხლის მედალი მოიპოვა.

სპორტული აპრილი ჩვენი მოჭადრაკეების მრავალი წარმატებით აღინიშნა, თბილისელმა ლაშა ჯანჯღავამ ინგლისში 20 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირში ითამაშა. 17 წლის თბილისელმა ჭაბუკმა შეჯიბრება დაუმარცხებლად განვლო და II-V ადგილები გაიყო, უფრო სწორად, უკეთესი კოეფიციენტის გამო ჯანჯღავას II ადგილი მიეკუთვნა. ამასთან, ლაშამ 1 ქულით გადააჭარბა საერთაშორისო ოსტატის ბალს.

ბაქოში 16 და 20 წლამდე ასაკის მოჭადრაკე გოგონათა მსოფლიო პირველობის შესარჩევ ტურნირში საქართველოს ოთხი წარმომადგენელი გამოდიოდა. მათგან ყველაზე კარგად ითამაშა ქეთევან კახიანმა, რომელმაც პირველი ადგილი მოიპოვა. ახლა იგი 20 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობის საგზურის მოსაპოვებლად შეხვდება თანაქალაქელ ქეთევან არახამიას.

აზერბაიჯანის დედაქალაქში 16 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა შეჯიბრებაში სამტრედიელმა სოფიკო ტერელაძემ I-II ადგილები გაიყო მინსკელ იულია ლევიტანთან ერთად. ამიტომ მათ შორის დამატებითი მატჩი დაინიშნება.

სასიხარულო ცნობა მოვიდა საფრანგეთის ქალაქ იერიდანაც. აქ ქალთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში თბილისელმა ქეთევან არახამიამ ჩეხოსლოვაკიელ ელიშკა კლიმოვასთან ერთად 7 ქულით I-II ადგილები გაიყო.

ამ ტურნირში მეორე თბილისელმა ელენე ახმილოვსკაიამ ბულგარელ მარგარიტა ვოისკასთან ერთად 6 ქულით III-IV ადგილები გაიყო.

ბერლინში გაიმართა ერნსტ ტელმანის მემორიალი, რომელშიც გერმანელი და საბჭოთა დიდოსტატები გამოდიოდნენ. თბილისელმა გენადი ზაიჩიკმა იქ III-IV ადგილები გაიყო.

ჩვენს მშვილდოსნებს კარგა ხანია რაიმე მნიშვნელოვანი წარმატება ალარ მოუპოვებიათ. ამიტომ განსაკუთრებით სასიხარულო იყო 15 წლის თბილისელის ნატო ნასარიძის წარმატება ჩებოქსარში გამართულ ახალგაზრდა მშვილდოსანთა ასპარეზობაში. ნატო იქ თავისზე უფროს კოლეგებს ეჯიბრებოდა და ყველა მეტოქე ჩამოიტოვა.

სევასტოპოლში ადგილობრივი გაზეთის პრიზზე გამართულ ტრადიციულ საკავშირო ტურნირში პირველი ადგილი ვადამდე დაისაკუთრა თბილისელმა აფროსანმა გურამ ბიგანიშვილმა, რომელიც „ვარსკვლავის" კლასში გამოდიოდა.

მინსკში ძიუდოისტ ქალთა საკავშირო ტურნირში 240 სპორტსმენი ჩაება. წარმატებით გამოვიდნენ თბილისელი სპორტსმენები. ყველას აჯობეს რენა შავერდოვამ (46 კგ) და ია ზღულაძემ (72). მათმა თანაგუნდელებმა რუსუდან კუპატაძემ (52) და ლელა ნებიერიძემ (72) მეორე, ხოლო ელზა გაბრიელიანმა (61) მესამე ადგილები დაიკავეს.

აპრილში იყო სხვა წარმატებებიც, რომლებსაც ძირითადად ჩვენმა მოჭიდავეებმა მიაღწიეს ახალგაზრდებისა და ჭაბუკების შეჯიბრებებში. ყველა ამ წარმატების გახსენება შორს წაგვიყვანს.

---

## ი. ფარეშაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ღვაწლმოსილი სპორტსმენი გამოაკლდა რესპუბლიკის სპორტულ ოჯახს. იულია ფარეშაშვილი — ჩვენი ტანვარჯიშის პირველი თაობის წარმომადგენელი, გიორგი ეგნატაშვილის ერთგული მოწაფე, ოცდაათიან წლებში ერთ-ერთი პოპულარული სპორტსმენი ქალი იყო საქართველოში. სამამულო ომის დაწყებამდე, თერთმეტი წლის მანძილზე, ტოლი არ ჰყავდა ჩვენს რესპუბლიკაში და მთელს ამიერკავკასიაში — ბრწყინვალედ მოიგო სამი რესპუბლიკის აბსოლუტური პირველობა 1933 წელს თბილისში. 11-ჯერ იყო საქართველოს, 7-ჯერ კი ამიერკავკასიის ჩემპიონი. 1934 წელს II ადგილი დაიკავა საკავშირო შეჯიბრებაზე, სადაც ყველა მოხიბლა მაღალტექნიკური, ორიგინალური ვარჯიშით. სპორტის ვეტერანები დღესაც სიამაყით იგონებენ იმ ფაქტს, რომ ქართველ ქალთა შორის სწორედ იულიამ გააკეთა პირველმა აღმატრიალი ღერძზე.

1936 წელს საკავშირო ჩემპიონატზე ლენინგრადში კვლავ II საპრიზო ადგილი მოიპოვა, უკან ჩამოიტოვა ქვეყნის უძლიერესი ტანმოვარჯიშეები. მაშინ მიენიჭა სპორტის ოსტატის წოდება. იგი მთელს ქვეყანაში პირველი სპორტის ოსტატი ექიმი ქალი გახლდათ. ტანვარჯიშში მინიჭებული ჰქონდა რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება, დიდხანს საქართველოს სპორტული ტანვარჯიშის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობას ასრულებდა. დიდი სამამულო ომის მონაწილე იყო, სკკპ წევრი 1939 წლიდან. მიღებული ჰქონდა სამამულო ომის II ხარისხის ორდენი და მედლები, ფიზიკური კულტურისა და მედიცინის წარჩინებულის ნიშანი, შრომისა და სპორტის ვეტერანის მედლები.

იულია ფარეშაშვილის ხსოვნა დიდხანს დარჩება მათ გულში, ვინც ამ შესანიშნავ ადამიანს იცნობდა.

**ტანვარჯიშის რესპუბლიკური ფედერაცია, საქართველოს სპორტის ვეტერანთა საბჭო.**

---



საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი რეგბიში

წულუკიძე. „იმერეთის" სტადიონი. 2 მაისი.

„მშენებელი" (ქუთაისი) — „ელექტრომაში" (ტირასპოლი) 16:12 (16:3).

„მშენებელი": ძაგნიძე; გაბრიჩიძე, ძოწენიძე, ხარშილაძე, ხამაშურიძე; მაჩიტიძე, ლოსაბერიძე; ბაბუნაშვილი, ტურძელაძე, ობოლაძე (სვანიძე, 41), წიწივაძე, გრიგალავა, ფხაკაძე (ნემსიწვერიძე, 25), ნაჭყებია, ოდიშარია.

„ელექტრომაში": პაცულა; რეტიუნსკი, ვ. კოტოლიჩენკო, ს. კოტოლიჩენკო, ხოლოვეცკი; შლიუშკინი, ოლარი; ლიაშკო, ივანუშკინი, ქრისტოფოროვი, ბენკოვსკი, ბონდარენკო, კორნეევი, ოტრახი, შჩემელევი.

მსაჯი ვიაჩესლავ კალიტენკო (კიევი).

გოლები: „მშენებელი" — 4 ლელო (9, გრიგალავა; 15, ობოლაძე; 27, ძოწენიძე; 31, გაბრიჩიძე); „ელექტრომაში": 4 საჯარიმო (17, 63, 65, 79: შლიუშკინი).

ერთპიროვნული ლიდერისა და აუტსაიდერის შეხვედრა, როგორც მოსალოდნელი იყო, ქუთაისელ რეგბისტთა იერიშებით დაიწყო და უკვე მე-9 წუთზე ანგარიში გაიხსნა: მორკინალებმა უკან დახევინეს მეტოქის თავდამსხმელებს; ისინი იძულებულნი გახდნენ თამაშის წესი დაერღვიათ, მშენებლებმა ორიგინალურად გაითამაშეს საჯარიმო, ორიოდე სწრაფი გადაცემის შემდეგ გრიგალავა ხელსაყრელ პოზიციაში გაიყვანეს და მას არ გასჭირვებია პირველი ლელოს გატანა. ცოტა ხნის შემდეგ კვლავ კარგად ითამაშეს მორკინალებმა: მათ მძლავრი ბიძგით 15 მეტრით უკან დაახევინეს ტირასპოლელებს, ბურთს „მშენებლის" ჰუქერი, ტურძელაძე დაეუფლა და იგი შეფარვით თავის კაპიტანს, ობოლაძეს მიაწოდა, რომელმაც მეორედ დალაშქრა სტუმართა ჩათვლის მოედანი — 8:0.

27-ე წუთზე მშენებლებმა კვლავ მშვენიერი კომბინაცია გაითამაშეს: ჯერ ბურთი მოედნის ცენტრში დააყოვნეს, შემდეგ ელვის სისწრაფით, მოულოდნელად შეუტიეს მოკლე ფრთაზე, რიცხობრივ უპირატესობას მიაღწიეს და ლოსაბერიძის გადაცემის შემდეგ ძოწენიძემ კიდევ ოთხი ქულა შესძინა გუნდს. 31-ე წუთზე კი ოსტატურად ითამაშა „მშენებლის" გარე ნახევარმცველმა მაჩიტიძემ, რომელმაც ცრუ მოძრაობების მთელი სერიით უკან ჩამოიტოვა ოთხი მეტოქე და კარის ხაზთან მისულმა ბურთი გაბრიჩიძეს მიაწოდა, რომელმაც ეს ლამაზი შეტევა მეოთხე ლელოს გატანით დააგვირგვინა.

მართალია, როგორც წინა შეხვედრებში, ქუთაისელ რეგბისტებს, ამჯერადაც არ წაუვიდათ დარტყმები, მაგრამ მათ ისეთი დიდი სათამაშო უპირატესობა ჰქონდათ, რომ ყველას ეგონა, განმეორდებოდა ამ გუნდების შარშანდელი შეხვედრის შედეგი, როცა ქუთაისელებმა შვიდი ლელო გაიტანეს. სამწუხაროდ, ეს თვით რეგბისტებმაც ირწმუნეს, ასეთ თვითდაჯერებულობას კი რაც მოსდევს, კარგადაა ცნობილი... მეტოქემ ამით ისარგებლა, გარდატეხა შეიტანა თამაშის მსვლელობაში და შლიუშკინმა ანგარიში სხვაობა შეამცირა. ქუთაისელები ბევრს ეცადნენ, მაგრამ თამაში ველარააწყვეს და შესვენებამდე მოპოვებული ქულების წყალობით გაიმარჯვეს.

**თამაზ ხარაბაძე.**

ქუთაისი.

• • •

ამავე ტურში თბილისელი რკინიგზელები კიევის „სპარტაკის" სტადიონზე ადგილობრივ „ავიატორს" შეხვდნენ. მასპინძელთა მესამე ხაზის მორკინალთა მიერ გატანილ სამ ლელოსა და გერასკინის მიერ შეგდებულ საჯარიმოსა და ორ რეალიზაციას თბილისელთა მცველმა ლეჟავამ ორი საჯარიმოს გატანით უპასუხა. გაიმარჯვა „ავიატორმა" — 19:6 (13:6).

სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „ზვეზდა" — „ფილი" 13:12 (IV ტურის მატჩი), „ზვეზდა" — ასკ 3:28, სსა — „სლავა" 6:0, ეტს — „ლოკომოტივი" 12:13. „ელექტრონმაში" — „ფილის" შეხვედრა არ შედგა.

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 5 მაისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ქ. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მშენებელი" | 5 | 5 | 0 | 0 | 15 | (0) |
| „ლოკომ." (მ.) | 5 | 4 | 1 | 0 | 14 | (—1) |
| ასკ (ალმა-ათა) | 5 | 3 | 2 | 0 | 13 | (—2) |
| „ავიატორი" (კ.) | 5 | 4 | 0 | 1 | 13 | (—2) |
| სსა (მონინო) | 5 | 3 | 0 | 2 | 11 | (—4) |
| ეტს (კრასნ.) | 5 | 2 | 1 | 2 | 10 | (—5) |
| „ელმავალი" | 5 | 2 | 0 | 3 | 9 | (—6) |
| „ზვეზდა" (ტაშკ.) | 5 | 2 | 0 | 3 | 9 | (—6) |
| „სლავა" (მ.) | 5 | 1 | 0 | 4 | 7 | (—8) |
| „ფილი" (მ.) | 4 | 1 | 0 | 3 | 6 | (—6) |
| „ელ." (ტირ.) | 5 | 0 | 0 | 5 | 5 | (—10) |
| „ელ." (ლენ.) | 4 | 0 | 0 | 4 | 4 | (—8) |

---

საქართველოს პირველობა

# მსაჯთა რეესტრი

7 მაისი. IX ტური.

„მაღაროელი" (ჭიათურა) — „მადნეული" (ბოლნისი), **შ. ხანიაშვილი, დ. გაგნიძე** (თბილისი), **რ. გარნოვსკი** (სამტრედია), „მეშახტე" (ტყიბული) — „არმაზი" (მცხეთა), **რ. ვერულაშვილი, ი. აბაიძე. თ. სოფრომაძე** (თბილისი), „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „ქართლი" (გორის რ-ნი), **მ. ჭელიძე, ა. შილაკაძე, ი. კანდელაკი** (თბილისი), „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) — „შადრევანი" (წყალტუბო), **რ. ტალიაშვილი, კ. ხეჩოიანი, ო. გუნთაძე** (თბილისი), „დურუჯი" (ყვარელი) — „ამირანი" (ოჩამჩირე), **თ. კურტანიძე, დ. რეხვიაშვილი, ვ. ეჯიბია** (თბილისი), „კოლხეთი" (ხობი) — „ბახტრიონი" (ახმეტა), **ვ. შელია, გ. დოგრაშვილი, მ. კანდელაკი** (ქუთაისი), „ივერია" (ხაშური) — „დინამო" (გაგრა), **მ. მალაღურაძე, ა. ჟიჟიაშვილი, გ. საყვარელაშვილი.** (თბილისი), „სპარტაკი" (ცხინვალი)—„ეგრისი" (ცხაკაია), **მ. მირცხულავა, ვ. გვიჩია, თ. ნაკაიძე** (ლანჩხუთი), „საპოვნელა" (თერჯოლა) — „სალხინო" (გეგეჭკორი), **კ. დავიდიანი, ნ. შავიშვილი, ნ. მუზაშავრია** (ბათუმი), „სულორი" (ვანი) — „სქური" (წალენჯიხა), **უ. ფურცელაძე, ბ. თოფურია, გ. თხელიძე** (თბილისი), „დინამო" (ზუგდიდი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) **მ. კობიაშვილი, ბ. დარჩია, ნ. ბიძინაშვილი** (თბილისი).

9 მაისი. X ტური.

„მეშახტე" (ტყიბული) — „მაღაროელი" (ჭიათურა), **გ. კალანდია, ო. წურწუმია, ნ. ფარცვანია** (ზუგდიდი), „არმაზი" (მცხეთა) — „მეტალურგი" (ზესტაფონი), **ი. შალამბერიძე, ვ. ეჯიბია, თ. კურტანიძე** (თბილისი), „ქართლი" (გორის რ-ნი) — „სამეგრელო" (ჩხოროწყუ), **ნ. ჩიქოვანი, ს. პრავოვი, რ. ამიჩბა** (გაგრა), „შადრევანი" (წყალტუბო) — „დურუჯი" (ყვარელი), **ა. კიკაბიძე, ზ. ჯინჭარაძე** (მახარაძე), **თ. მაჭარაძე** (წულუკიძე), „ბახტრიონი" (ახმეტა) — „ამირანი" (ოჩამჩირე), **ვ. შავგულიძე, გ. გელავა, ე. გვარამაძე** (რუსთავი), „კოლხეთი" (ხობი) — „ივერია" (ხაშური), **ი. კანდელაკი, გ. თხელიძე** (თბილისი), **მ. გვაზავა** (აბაშა), „დინამო" (გაგრა) — „სპარტაკი" (ცხინვალი), **ზ. დარჩია, მ. კობიაშვილი, ნ. ბიძინაშვილი** (თბილისი), „ეგრისი" (ცხაკაია) — „საპოვნელა" (თერჯოლა), **რ. გარნოვსკი, თ. ჯულაყიძე, ო. კვანტალიანი** (სამტრედია), „სალხინო" (გეგეჭკორი) — „სულორი" (ვანი), **შ. ხანიაშვილი** (თბილისი), **ვ. შელია** (ქუთაისი). **გ. ხეჩუაშვილი** (თბილისი), „სქური" (წალენჯიხა) — „დინამო" (ზუგდიდი), **გ. გაბისკირია, ზ. მილჩენკო, ო. გაგუა** (სოხუმი), ფიზკულტ. ინსტიტ. (თბილისი) — „მადნეული" (ბოლნისი), **ჯ. წერეთელი, მ. ფოლადაშვილი, ა. ბეჟიაშვილი** (რუსთავი).

**გათამაშების ცხრილები**

**III ქვეჯგუფი** №2

მდგომარეობა 1 მაისისთვის

**ალმოსავლეთი ქვეჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მიონი"35 | 4 | 4 | 0 | 0 | 10-4 | 8 |
| „გარეჯი" | 4 | 3 | 0 | 1 | 7-1 | 6 |
| „ვარდისუბანი" | 4 | 3 | 0 | 1 | 8-3 | 6 |
| „ალაზანი" | 4 | 2 | 2 | 0 | 7-4 | 6 |
| სპი თბ. | 4 | 2 | 1 | 1 | 10-8 | 5 |
| „ნაფარეული" | 4 | 2 | 1 | 1 | 6-4 | 5 |
| „გარისი" | 3 | 2 | 0 | 1 | 5-2 | 4 |
| „თუშეთი" | 4 | 2 | 0 | 2 | 6-6 | 4 |
| „შირაქი" | 4 | 1 | 2 | 1 | 3-4 | 4 |
| „მეტალურგი"-2 | 4 | 1 | 1 | 2 | 8-12 | 3 |
| „განთიადი" | 4 | 1 | 0 | 3 | 4-8 | 2 |
| „კოლმ." მარნ. | 3 | 0 | 1 | 2 | 1-4 | 1 |
| „სინ.-სპორტინ." | 4 | 0 | 1 | 3 | 1-5 | 1 |
| „ქიზიყი" | 3 | 0 | 1 | 2 | 2-7 | 1 |
| „მარაბდა" | 3 | 0 | 0 | 3 | 2-8 | 0 |

**ცენტრალური ქვეჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „იბერია" | 4 | 3 | 1 | 0 | 10-3 | 7 |
| „ჭოგნარი" | 4 | 3 | 1 | 0 | 7-3 | 7 |
| „ზარზმა" | 3 | 3 | 0 | 0 | 12-2 | 6 |
| „მშენებელი" | 4 | 3 | 0 | 1 | 10-3 | 6 |
| „მეშაქრე" | 4 | 2 | 1 | 1 | 4-3 | 5 |
| „ფეიქარი" | 3 | 1 | 2 | 0 | 4-2 | 4 |
| „ცენტრმეტ." | 4 | 1 | 2 | 1 | 5-7 | 4 |
| „ავტომობილ." | 3 | 1 | 1 | 1 | 2-3 | 3 |
| „ფარვანა" | 4 | 1 | 1 | 2 | 5-5 | 3 |
| „ორპ. ოკრ." | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |
| „ქვემოჭალა" | 4 | 0 | 2 | 2 | 6-10 | 2 |
| „ბაგიათი" | 4 | 0 | 2 | 2 | 3-8 | 2 |
| „ლიახვი" | 4 | 0 | 2 | 2 | 2-8 | 2 |
| „ხვამლი" | 4 | 0 | 2 | 2 | 2-9 | 2 |
| „მეავეჯე" | 4 | 0 | 1 | 3 | 2-7 | 1 |

**დასავლეთი ქვეჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მელექედური" | 4 | 3 | 0 | 1 | 6-3 | 6 |
| უნივერს. სოხ. | 3 | 2 | 1 | 0 | 7-5 | 5 |
| „ბეთლემი" | 4 | 2 | 1 | 1 | 5-3 | 5 |
| „განთიადი" | 4 | 2 | 1 | 1 | 5-4 | 5 |
| „კახაბერი" | 4 | 2 | 1 | 1 | 5-4 | 5 |
| „ალიონი" | 3 | 2 | 0 | 1 | 3-3 | 4 |
| „სუბტროპიკი" | 3 | 2 | 0 | 1 | 9-2 | 4 |
| „სპარტაკი" | 4 | 1 | 1 | 2 | 4-4 | 3 |
| „ახალსოფელი" | 4 | 1 | 1 | 2 | 4-8 | 3 |
| „შახტიორი" | 4 | 1 | 1 | 2 | 4-9 | 3 |
| „კოლხიდა" | 3 | 1 | 0 | 2 | 3-3 | 2 |
| „ზანა" | 4 | 0 | 2 | 2 | 4-6 | 2 |
| „ავტომობილ." | 4 | 0 | 1 | 3 | 5-10 | 1 |

---

„ლოკომოტივის" სტადიონი

**7 მაისი**

**ფეხბურთი**

სსრ კავშირის პირველობა

II ლიგა, IX ზონა

ოლიმპიური მომზადების ცენტრი-„ლოკომოტივი" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (მინერალური წყლები).

დასაწყისი 18 ს.

---

„ლოკომოტივის" სტადიონი

(ილია ჭავჭავაძის გამზირი, 74)

**5 მაისი**

**რეგბი**

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

რრპ „ელმავალი" (თბილისი) —„მშენებელი" (ქუთაისი)

დასაწყისი 18 საათზე.

---

რედაქტორი

**თ. გაჩეჩილაძე.**

ინდექსი 68425. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. 28. უე 05312